

572
1963

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1 9 6 3 ა ბ გ დ ე ვ

ს ა მ ს

28

მეგობარი კაკალი და ხე

ნახატი ა. კრიშტიანოვიძე

შავკანიანი მამაკაცი

შეა ესკინისთვე იყო დედამ ბავშვები ხეივანებზე წამოგვიყვანა ქალაქიდან. — კაკლის ბურტყვას დაესწარიო. შიშველებული დღე იყო. სით არ იძვრიადა. მსე ათასიძი ერთხელ გამოაქვეყნდა ღრუბლებიდან. წყნ კაკლის ქვეშ შევიკრიბეთ და მოუსხვინად ველოდებოდით ბურტყვას. აი, ვანთვ მოვინა. მოკლე ახალესი ყვავი. განთრეი შარვალი მზე ბაიჭებში ბეინდ წაკვილი. თავსე წითელი ხელსახოცი გადავკრა, ხელში უშეფლებელი კაკლის საბურტყე ხალა!

1) კაკლის საბურტყე ვრგული ვაბო.



კაკლი და თავისი მამაკაცი შესხვადობით მიწვიერ სერათს წარმოადგენდა.

— შეილო, ვანო, ფრთხილად, ფეხი არ დაგინსლტეს და ცოდავ არ დაუვიტრილო, — აღვრნით უთხრა დედასემმა და ცხს შეხვდა, ბავრი ხომ არ იცვლებო.

— ნუ გეშინია, ქალბატონო, ბირეულად ხომ არ ავდივარ ხესე. ამ ერთ კვირამი თცი ძირი დამიბურტყავს, ისეთი ტომრები გავტეხე წემი მუთხვადით, რომ თითოს თითო თუქმად არ მივცემ.

ვანო აცოცდა ხესე ვერ ქვეშობთ ტორტებზე გავიდა და მძლავრად დაუძინა გრძელი ხნა ხვანგან ნახევრად და-
2) კაკლის მებრტყავს დაბრტყილი კაკლის ზეოთხის აძლვდნენ ვანამჯლოდ.

ბურტყელი ტორტებს, მერე შეა ხესე გავიდა და ერთი ხათის შემდეგ უსარმახარი ხის წვეროკინაზე მოექცა. წყნ მრწუდით დაცვნილ კაკლებს, ერთმანეთს ვაწედებოდათ, ვცემოდათ და გუდინად ვხარხარებდით. ამასობაში ცოტაოდნად წამოიჩქვლა, ბატარა ნიაკიც დაიბრა. დედანემი აღუღდა და ეშვეწუბოდა ვანოს— ჩამოდიო, რადგან დასველებული ტორტები ხამამი იყო მზურტყავისთვის და თანაც ქარი ბღიერდებოდა.

— ჩამო, შეილო, ჩამო! მე შენი უურება აღარ შემძლია, მძით გული მიწუნს... დანარჩენი კვლავ დაიბურტყვის, არ წანსება.

— ერთი-ორი ხელის მოქნევა დამპირდება და კიდევ გავთავებ, — მხიარულად ჩამოსმასხა ვანომ და ხელის ქნევას მოუხმინა. კაკლმა უფრო ბლომად იწყო ცვენა და წყნც გამალებით ვაგროვებდით.

გარშემო წყნი ხმურით უურთასმენა აღარ იყო.

5094



ახალ-ახლობაში

მ. ლორე პაპაიანი

იყო წელს ბირველად წავეიდა სკოლაში.

ფორმა, ქედი, კრიალა ფეხსაცმელები ქალაქიდან გამოუკ საუნეს ბიომეი-ლებმა.

სკოლის დაწყების საბი დღე აკლდა, რა შობაშიწინებდა! ფეხსაცმელები მშვიდა ოთახში. გამოეწყო, ქედიც დაისურა, კბეზე ჩაიბრინა.

წინათ მუდამ სავსე იყო ქუჩა, ასლბა თითქოს განზრახ დაცარიელდა. არა უშავს, უნდა მოითმინოს!

ჩაიწყო დღეობა ვიბებში სელები. გაიარ-გამოიარა გიას ღობის წინ. შერე ბოთლო სელები ვიბიდან, შეის-წორა ფორმა, ქამრის ბრჭვილია ბაღ-თან სახელა გადაუსვა, კრიალა ფეხსაც-მელებს — სელისეული, ქედი უფრო კარგად მოირგო. ისეე გაიარ-გამოი-არა.

სახლი პ. ბანძელაძის

ბიჭოს, რამსიერზე წრდილი დაბეჭება კვერდით, რა დიდი განზრდილა, რიგო-რი ძაღალი ფეხები ბეჭს ერეულ მარ-ვალიძე, — უურადღებებს კი არაფერს აქ-ცეეს.

ამ დროს გია გამოვიდა ბივანზე-ურთი კი გამოიხვდა, მგრამ ვითომც აქ არაფერიყო, ჯოსის თლა განაგ-რბო.



სამუშაოდან მომავალ მესობლებს წინ გადაუდგა, მესალმა კიდევ, უურა-დღებუც კი არ მიბეციეს, თორემ სალ-მის მახესს ვინბა ელოდა.

დიტო შეწუსდა. შერე ქედი იაწია მუბლზე, საზე გამოაჩინა. ქუჩის ბო-ლოს დადგა, იქნებ ღობე შეყარებაო, — შეთიწი თითის წვერებსეც კი იაწია.

გია კი თლის და თლის თავის ჯოსს. ნახვეულ დიტომ. გიამ თაღი ახწია, დაცქერდა მონწავლის ფორმაში გამო-წყობლ დიტოს.

— დიტო, შენა სარ?! ახალ-ახლობა-ში! — გაიცინა გიამ და ბივინის შობაჯინს დაეურდნო.

— კი, ვარ, გია, შე ვარ! — შებეკირა გახარებულბ დიტომ და შეგობრისკენ გაიქცა.

36161

საშალ პაპაიანი

ვნახე — ტბა ცეცხლში იწვოდა, ცეცხლი ღვოდა დინჯად, ძალღს ეცვა დიდი შარვალი, ცხენზე ამაყად იჯდა.

საკაპურები დეცხლოთ მერეებსა და იხვებს, დატრობებდნენ, დაბტოდნენ, ერთ ფატიფუტში იყვნენ.

სახღს სახურავის მაგივრად ქუდი ეხურა, ვნახე, კატებს თაგვები იბერდნენ, ფრთბილად უგებდნენ მახეს.

ქუღს ისინჯავდა დათუნა, გაბრწყინებოდა სახე, ეს ყველაფერი, რომ სჯერა, — ისეთი ბრიყვიც ვნახე.

თარგმანი ფილიპე ბერაძემ



ნინო ნაკაშიძე

გარდაიცვალა ყველასათვის დიდად საყვარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძე.

მისი პირველი მოთხრობა სამოცი წლის წინათ დაიბეჭდა. იმ დღიდან მოყოლებული ნინო ნაკაშიძემ მრავალი საუკეთესო მოთხრობითა და პიესით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. მის ნაწარმოებებზე იზრდებოდნენ ჩვენი დედები და მამები. განსაკუთრებით ბევრს სწერდა ბავშვებისათვის.

მისი ცნობილი პატარა მოთხრობები: „ქეთილი“, „ქეჩიმი“ და სხვები, აგრეთვე სათავგადასავლო ნაწარმოები „ულუ და თეთ“ ბავშვების საყვარელი წიგნებია.

ნინო ნაკაშიძე დიდად ხელმძღვანელობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს“. იგი დღემდე ჩვენი ჟურნალის აქტიური ავტორი იყო.

ნინო ნაკაშიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა საკვირაო სკოლის მასწავლებლად, მონაწილეობდა სახალხო თეატრის მუშაობაში, მისი ინიციატივით არა ერთი აღმზრდელობითი დაწესებულება შეიქმნა, როგორცაა ბიბლიოთეკა, სამკითხველო და სხვა.

1905 წლის გურიის რევოლუციაში მონაწილეობისათვის ნინო ორჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს.

ნინო ნაკაშიძე პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ლევ ტოლსტოის და სხვა გამოჩენილ ადამიანებს, მათ შესახებ ნინომ საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა.

გასულ წელს ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ნინო ნაკაშიძის დაბადების 90 წლისთავი.

ჩვენი მომავალი თაობა, სათუთად შეინახავს ქართული საბავშვო ლიტერატურის დიდი მოამაგის ნათელ სხოვნას.

ნინო ნაკაშიძე

ბაღუი

მშენიერი ზაფხული
სოფელში, მწვანე მდელოზე.
ღელვც კი ერთხელ ნახული
მამლერებს საქართველოზე.

სამშობლო დიდი ბაღია,
ვარდ-ყავილებით ქებული.
ზეცა ფირუზის თაღია,
ნათელი, გაბრწყინებული.

ნეტავი სადმე მაჩვენა
ასე ლამაზი მთა-ველი.
შრომით დახატა მარჯვენამ
მიწის ყოველი მტკაველი.

ტბილია ჩვენი დღეები,
თამაში მწვანე მდელოზე.
მიყვარს მამულის ხეებიც,
ვოცნებობ საქართველოზე.
ნახატები ზ. ჯაპანაძისა

პარლან მარაუი

სოფლად

დადგა ზაფხულის დღეები,
ახლა მზე უფრო მწველია.
—მთისკენ!— გვეძახის ტყეები,
—სოფლად!— სად მწვანე ველია.

ვხედავთ შჩქეფარე ჩანჩქერებს,
ვტბებით კამკამა წყაროთი.
რა გაგვაჩერებს უტყვეოდ,
აქ მისთვის მოვიჩქაროდით.

სურნელს გვაფრქვევენ ფიქვები,
ჩრდილს არ გვაკლებენ ნაძვები.
თუ გავიქრებით დელისკენ,
ცისფერ-სილაზვც გავწვებით.

გვიყვარს თამაში, გართობა,
სწავლა, მამულზე ფიქრები.
ვართ საქართველოს ვარდობა,
მისი ერთგული ვიქნებით.





შ

შეთსკვა

ურანკა

ნახატები მ. კოინიშვილისა

კოკისპირულად წვიმდა. წვიმის წვეთები ხიდან ბუჩქებს ეპკურებოდა, ბუჩქებიდან—გვიმრებს და უთვალავ პატარა ნაკადულად მიწანწყარებდა.

უკვე ბნელდებოდა.

ჭიანჭველა ასეთ თავსმაში შერჩენილიყო გარეთ, დილას კვერცხები წაელო ქალაქში გასაყიდად. ნვაპური ფული ცისფერ ქისაში გამოეკრა და შინ მიჰქონდა. თან ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ბუზლუნებდა:

— კაბა გამიფუჭდა, აღარც ქული მივარგა! ქოლგა მაინც არ დამევიწყებოდა შინ, ან ასეთ ამინდში ტილოს ფეხსაცმელებით ვინ დაღის ტყეში!

ტყეში

ამ ლაპარაკში იყო, რომ სიბნელეში დიდი სოკო დანახა.

„თავშესაფარიც ამას ჰქვია, უკეთესს კაცი ვერც კი ინატრებს! გამოდარებამდე აქ დავჩრებიო.“

უცებ კარს მომდგარი კრიკინა შენიშნა, რომელსაც ზურგზე თავისი ვიოლინო წამოეკიდა.

— ეჭვი, ჰიანჭველავ! შეიძლება შემოვიდე?

— მოზრძანდი,—უპასუხა ჰიანჭველამ,— ძალიან მოხარული ვარ, რომ ამხანაგი ვიშოვე.

— დღეს ბაზრობაზე ვუყრავდი. ამასობაში შემომალამდა. რა კარგია, რომ აქ ლამის ვათევა შეიძლება!—თქვა ჰრიკინამ, ჩამოჰკიდა თავისი ვიოლინო და ჰიანჭველას მიუჯდა.

უცებ, შორს, ტყის სიღრმეში მოციმციმე სინათლე შეინიშნეს. ეს ციციანათელა იყო, ფარნით ხელში. ციციანათელა მათ თავიანად მიესალმა.

— თუ შეიძლება, ღამე ვამათევივინეთ! ტყეში გზა დამებნა, ვერც იქით წავსულვარ და ვერც აქეთ.

— მოზრძანდი, გეთაყვა,—უპასუხა ორივემ,—ჩვენთვისაც კარგია, სინათლე გვექნება.

ციციანათელამ თავისი პატარა ფარანი მაგიდაზე დადგა.

სინათლის შუქმა სოკოსთან მოიყვანა კიდევ ერთი მგზავრი, რომელიც ძლივძლივობით მოზობლავდა ფოთლებსა და ხავსში. ეს იყო დიდი ხოჭო. საღამო მშვიდობისაც არ უთქვამს, ისე შემოვიდა.

— აჰა, ესეც თავშესაფარი!—თქვა მან, დაჯდა, ფუთა წინ დაიდო და ვახშამს შეექცა.—ახეა, კაცი რომ მთელი ღღე ხეს ბურღავ, საჭმელიც გეგემჩრეილებს!—ჰამის მერე ხოჭომ ჩიბუხი დატენა, ციციანათელას ნაკვერჩხალი გამოართვა, მოუკიდა და ნებვარად გააბოლა. ამასობაში მთლად ჩამოხბენლდა.

კიდევ ერთი დაგვიანებული მგზავრი შემოემტატო,—სოკოს ქვეშ გამოჩნდა ლოკოკინა, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა.

— სირბილიც ამას ჰქვია, ისე მოვრბოდი, პირდაპირ ფერდები მეტკინა. უამინდობის გამო აქ შევისვენებ. შემდეგ ისე მოვუსვამ, ორთქლმავალიც ვერ დამეწიოს.


ლოკოკინა ჩამოჯდა თავის სახლის კართან, ხელსაქმე ამოიღო და ქსოვას შეუდგა.

ასე მოიყარა თავი ხუთმა კაცმა.

ჰიანჭველამ თქვა:

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით, განა არ შეგვიძლია, დრო მხიარულად გავატაროთ?! ჰრიკინას ხომ ვიოლინო თანა აქვს. თუ ძალიან დღლილი არ არის, ვთხოვოთ, რაიმე სამხიარულო დაუკრას და ჩვენ ვიცეკვოთ!

ყველას გაეხარდა, ჰრიკინამაც ბევრი აღარ ახვეწინა, ჩადგა შუაში და ვიოლინოზე მხიარული საცეკვაო დაუკრა. დანარჩენებმა კი ფერხული ჩააბეს. მარტო ლოკოკინა არ ცეკვავდა.



— მეო, — ამბობდა ის, — სწრაფ ტრიალს ჩვეული არა ვარ, თავბრუს მესხმის ხოლმე. თქვენ კი რამდენიც გენებოთ, იმდენი იცეკვეთო!

მაგრამ მოულოდნელმა ამბავმა შეწყვიტა მათი ზეიმი.

სოკო, რომლის ქვეშაც მხიარული საზოგადოება ერთობოდა, სამწუხაროდ, ერთი ბებერი გომბეშოს საკუთრება გახლდათ.

ეს გომბეშო თურმე მეზობელ კაობში თავის ნათლიდედასთან სტუმრად იყო წასული. ორივენი უახვასა და ნამცხვარს შეექცნენ. გომბეშოს შინ დაბრუნება როცა მოაგონდა, უკვე კარგა შეღამებული იყო. ახლა კი სიბნელეში გზას ძლივს მიიკვლევდა.

თავისი სახლიდან მხიარული ხმები რომ შემოესმა, ნაბიჯს უკლო. შიგ მყოფთ გომბეშო არც კი შეუნიშნავთ, ისე წამოადგათ თავს. ხოკო შიშისაგან ზურგზე გადაყირავდა და მთელი ხუთი წუთი დასჭირდა, ვიდრე ფეხზე დადგებოდა. ციციანთელას გვიან გაახსენდა ფარნის ჩაქრობა, რომ სიბნელეში გაპარულიყო. კრიკინას ხელიდან ვიოლინო გაუფარდა. კიანჰველას ისევ და ისევ მისდიოდა გული. ლოკოკინაც კი დაფა-

ცუოდა, სწრაფად შეძგრა თავის სახლში, კარი გაღარაზა და ჩაიბუტბუტა:

— ახლა ქვეყანაც რომ დაიქცეს, ხმის ამომღები არა ვარ!

— ერთი ამათ დამიხედეთ! — დაიღრიალა გომბეშომ და ქოლგა მოიქნია, — ეს რა ბრბო შექერბილა. ახლავე აიკარით გუდუნაბლი და აქედან მოუსვით, თორემ სერის გიჩვენებთ!

რადს იზამდნენ? საცოდავებმა უსიტყვოდ აიკრეს თავიანთი ბარგი-ბარხანა და ლოკოკინას გასაღების ტუტურტანიდან შესძახეს, — წამოდით!

ისევ წვიმდა. წინ ციციანთელა მიუძღოდათ გზის მანათობლად, ხულ უკან კი ლოკოკინა მიცოცავდა. მაგრამ მალე ლოკოკინასაგან ჩამიწუმიც აღარ ისმოდა. ისე ჩამორჩენილა მეგობრებს, რომ მათი ძახილი ვერ გაიგონა.

ბევრი იარეს თუ ცოტა, მიადგნენ ერთ ხეს, რომლის ფეხებქვეშე საკამოდ მშრალი ადგილი იპოვეს და ის უფოთიანი ღემე იქ გაატარეს.

გერმანულიდან თარგმან და. ნადირაქმ და ნ. კვაჭაძემ





ჩვენი პაკვი ზისო

მიმი ძნელაძე

დაგვიბრდა ჩვენი ფისო,
ვეღარ იქერს თავვეხს...
ზოგჯერ თათებს უღვაშებზე
გადაისვამს განგებ.

ტუნს ილოკავს არჩენილ
და თვალების ნაბვით,—
ვითომ, აგერ ეს წუთია,
შვესანსლეო თავგი.

აბა, რისი დამჭერია!—
გმტყვით უფრო მეტსაც:
ამას წინათ დაჭერილიც
გამქცა და შერცხვა.



ფანქარი, საშლელი

და ქალღი

ვეა ჩაქალირი

ერთ საღამოს საწერ მაგიდაზე მუშაობას შეუდგა ფანქარი, ქალღი და საშლე-ლი; დაცოცავს ფანქარი ქალღი, დაცოცავს და წერს და წერს, ბოლოს დაიღალა და შეცდომა დაუშვა, მაშინ ფანქარმა საშლელს სთხოვა:

— მეგობარო, მოდი ეს შეცდომა მოგვაშორე!

საშლელი ზანტად წამოდგა, ბუზღუნით გაცოც-გამოცოცდა ქალღი და მაშინვე განზე გადაა.

ფანქარმა და ქალღმა ისევ განაგრძეს მუშაობა. დაცოცავს, დაცოცავს ფანქარი ქალღი და უყვება საინტერესო ამბებს, ქალღი კი იხსომებს და იხსომებს.

ბოლოს ისევ დაიღალა ფანქარი და ისევ შეცდომა დაუშვა. კიდევ სთხოვა საშლელს დახმარება, მაგრამ საშლელმა თვალეში გადაუბრიალა და დაუყვირა:

— აღარ შემიძლია ამდენი მუშაობა, გაგზდი და დავილიე!

— განა მე არ დავილიე? რამოდენა ვიყავი და აბა, ნახევარიღა დავრჩი. ამდენი მუშაობით თავბრუ მაქვს დახვეული, მაგრამ, როცა კარგ საქმეს აკეთებ, საყვედური რა სათქმელია.

თუმცა წყნარად უთხრა ფანქარმა საშლელს, მაგრამ მისი სიტყვები ისევ ეწყინა, რომ გული გაებზარა.

ქალღს შეეცოდა თავისი განუყრელი მეგობარი ფანქარი და საშლელს საყვედური უთხრა:

— ჩვენ, სამივე კეთილ საქმეს გვმსახურებით და ყოველთვის ფანქარს შენზე მეტი მუშაობა უნდება. იმ დროს, როცა ფანქარი შრომობს, შენ უქმად ზიხარ, მხოლოდ ორიოდ წუთს მუშაობ და მაშინაც ბუზღუნებ. გარდა მაგისა, ფანქარი ხომ შენზე ორასი წლით უფროსია, განა უფროსის პატივისცემა არ უნდა იცოდე?!



ნახატები ბ. პარკინგისილინა

ძველი ბურთი

ნარძიზა მგელაძე

ნახატები შ. სხალაძისა

მტკვრის ნაპირას, დიდი სახლის მოასფალტებულ ეზოში ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ.

თქვის პატარა ბურთი ეზოს ხან ერთ კუთხეში გაჩნდებოდა, ხან მეორეში.

— ვაი,—წამოიძახა კახამ და ცაღფეხზე ხტუნვა დაიწყო,—ფეხი ვიტკინე!

ბიჭებმა თამაშს თავი ანებეს და კახას შემოეხვივნენ.

— პატარა ბურთია და იმიტომ, წელან მეც მტკინა, მაგრამ მაღე გამოიარა,—ანუ-გეშა გოჩამ.

— დიდი ბურთი რომ გვქონდეს!

— აბა, ბიჭო!

— სკოლაში რომ შევად, მიყიდიან,—თქვა ეშბარმა.

— არაფერიც,—ჩაერთა დაპარაკში ეშბარის უმცროსი და მზია,—სკოლაში რომ შევად, „დედაენას“ გიყიდიან,—ასე თქვა დედაშ.

მზია გააჩუმეს.



— მე მქონდა დიდი ბურთი, მაგრამ გიორს მაკრატლის წვერი გაუყვია და დაუჩუტავს, თუ გინდათ ჩამოვიტან, ცოტაზე იჩუტებო, — შესთავაზა ფეხბურთელებს ბაკურმა.

ამ დროს მესამე სართულზე შუშაბანდის ფანჯარა გაიღო და გედას დედამ გადმოიხედა:

— გელა, მამა ჩამოვიდა!

გელა ადგირიდან მოწყდა და შურდულივით გავარდა.

ბიჭებმა გედას ფანჯრებს შეავდეს თვალი.

— კახა, გოჩა, ემზარ! — დაიძახა გახარებულიმა გელამ ზვიგოდან, — ხედავთ, რა მაქვს?

გედას ფანჯარაში გადმოეკიდა ობობას ქსელივით თხელ ბადურაში ჩადებული, წითელ-ყვითელ ზოდებიანი უშველებერი ბურთი და აქეთ-იქით აქანებდა.

ბიჭები მიაჩერებენ ღამამ ბურთს.

— არ ჩამოხვალ? — შესძახეს ქვევიდან.

— მოვდივარ!

გელა თავისი ახალი ბურთით ბიჭებთან გაჩნდა.

— მათხოვე!

— ერთი დამანახვე!

— აჰა, ბიჭო, ნახე, აქეთ-იქით ლივები აქვს.

— ეხ ლიდი კი არა, სურის ჩასაბერია, — გაიმეორა გელამ მამის ნათქვამი და ამხანაგებს მცოდნე კაცოვით გადახედა.

— ღედა, რამოდენაა! დამაჭერინეთ რა, ხელში, — მოითხოვა მზიამ.

— აბა, ვითამაშოთ ახლა! — დაიძახა კახამ და ბურთიანად ეზოში გაიქცა. ბიჭებც მიჰყვნენ.

— მოიცათ, მოიცათ, სად მიგაქვთ, მომეცით ჩემი ბურთი! — აყვირდა გელა.

კახა შეჩერდა. ბიჭებმა გედასაკენ მოიხედა.

— რა, არ გინდა თამაში თუ? — გაუკვირდა გოჩას.

— გაფუქდება, ახალია, — აღუღლულდა გელა, — მომეცით, ბადურაში ჩავდო.

კახამ ზოდებიანი ბურთი გედას დაუბრუნა და ბიჭებს უთხრა:

— ხომ გვაქვს პატარა ბურთი, ისევ იმით ვითამაშოთ, ფრთხილად დაეარტყათ და ფეხი არ გვეტყვინება.

თამაში ისევ გაჩაღდა. ბიჭებს სულ მალე გადაავიწყდათ გელა, რომელიც თავისი ფერადი ბურთით სახლის კართან მარტო ატუზულიყო.

გედასაკენ აღარავინ იხეველობდა.





ბივი ჭიჭინაძე
ნახატები ვ. მელიქიძევილისა

ს ა ტ ე რ ი

ტუნა-ტუნუნი, საცვრო,
წამით არ შეგანერო.

კ ო მ ე ბ ი

ყცა გოგონას საჭიდაოდ
მეტიჩარა კომში,
მურა ვერ უგო ადგილიდან,
გაიღვარა ოფელში.

გაცვრათ ფუქელი ნამქერა,
სანამა საცქერად.

მივეშველოთ ბეზიას,
ვემსასუროთ ერთგულად,
სალამოს კი თონგში
პურს ჩაგვიცხრობს თეთრგულას.

საქმეს როცა მოერჩებით,
ძინ წაფილებთ სონჩებით.



ღ ა თ ვ ი

დიდი დათვი, დრუნჩინი,
დუღღუნა და დანდალაო,
დილით ადრე წამომდგარა,
თაფლის ჭამით დამთურალაო,
დამთურალა და,—და, და, და, და
ფუსზე ველარ დამდგარაო.



ორი შაური



ადარი



ხალხური ფლბარბი

დველად, სულ ძველად საქართველოში შიმშილობა ჩამოვარდა. არც პური მოვიდა, არც ვაზმა მოიხსნა მარცვალნი და არც ხეხილს გამოუღია ყვავილი. ხალხი ძალიან შეთხელდა. გადარჩა მარტო ერთი დედაბერი თავისი შვილით. შვილმა უთხრა დედას:

— დედავ, წავალ სადმე, ვიმუშავებ, ვიშოვი ორ გროშს და დავბრუნდებიო. გამოეთხოვა დედას და წავიდა ბედის საქებნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა, მივიდა ერთ ქალაქში და სამუშაოს ძებნაში ერთი ვაჭარი შეხვდა:

— რას ეძებ, შვილო, რა დაგიკარგიაო, — ჰკითხა ვაჭარმა.

— ჩვენს ქვეყანაში შიმშილობაა, წამოველ, მინდა მოჯამაგირედ ვისმე დავუდგე, — უპასუხა ვაჭმა.

ვაჭარმა უთხრა: — ჩემთან წამოდი, დამიდევ მოჯამაგირედ და ფასზედაც მომირიგდით.

გაჰყვა ვაჭი.

ვაჭარმა ჰკითხა: — რომელს ირჩევ, რა მოგცე: ორი შაური ალალი, თუ ორი თუმანი არამი?

— ორი შაური ალალი მიირჩევნიაო, — უპასუხა ვაჭმა.

დაუდგა ერთ წელს ვაჭი ვაჭარს და ისე ერთგულად მუშაობდა, რომ სამი წლის სამუშაოს ერთ წელში აკეთებდა. წელიწადი რომ გათავდა, გამოართვა ორი შაური და წავიდა ბახარში. იქ თავისი ქვეყნის ხალხი ნახა:

— თქვენი ჰირიმეთ, ეს ორი შაური ვიშოვე და დედაჩემს ვერ წაუღებთო?

— რატომაც არაო, — უთხრეს სოცდაგრებმა.

ამ დროს გვერდზე ვაშლები ჩამოუტარეს. ვაქს ძალიან მოეწონა ვაშლები და ჰკითხა:

— რა ღირს გირვანქა ვაშლი?

— ორი შაურიო, — უპასუხა ვაშლის პატრონმა.

აწონინა ვაჭმა ვაშლი და მისცა ორი შაური. გირვანქამ ოთხი ვაშლი აიწონა. ერთი თვითონ შეჭამა და სამიც დედას გაუგზავნა.

წავიდნენ სოცდაგრები. ერთ სახელმწიფოში ჩავიდნენ. ერთ ბებერთან დადგნენ და ქალაქის ამბები იკითხეს.



ბებერმა უთხრა:—ჩვენს ხელმწიფეს ერთი ვაჟი ჰყავს, ისიც ავად არის. კვდება და მშველელი არავინ არის. ამბობენ, ვაშლი რომ ჰკამოს, მაშინვე მორჩება. ჩვენს სახელმწიფოში კი არსად არის ვაშლიო.

სოვდაგრებმა თქვეს:—იმ ვაჟმა რომ ვაშლები გამოგვატანა, ვცადოთ, იქნება უშველოსო.

ბებერს უთხრეს:—წადი, ხელმწიფეს მოახსენე, თუ რასმე მოგვცემს, ვაშლი ჩვენა გვაქვსო.

ხელმწიფემ დაიბარა სოვდაგრები. გაუქრეს ერთი ვაშლი და შეაქამეს ავადმყოფს. ცოტა ხანმა გაიარა და ავადმყოფმა მოიხედა. გაუქრეს მეორე და ისიც შეაქამეს. შეაქამეს მესამე და სრულებით გაჯანსაღდა.

ხელმწიფეს გაეხარა. აუკიდა ორმოცი ჯორ-აქლემი ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და ვაატანა სოვდაგრებს.

სოვდაგრებმა წამოიღეს და წამოვიდნენ. ის იმოდენა სარჩო სულ ვაჟის დედას მიუტანეს და უთხრეს:

— ეს შეიღმა გამოგვიზავნა და შემოგიტვალა: კარგი სასახლე დადგი,

ხალხს ლუკმაპური გაუჩინე და მეც მალე მოვალო.

სოვდაგრებიც მიეხმარნენ ვაჟის დედას და მშვენიერი სასახლე დაუდგეს. ორ-სამ დღეში ისეთი ქალაქი გაშართეს, რომ იმისთანა არც არაფერი ენახათ! ხალხსაც ლუკმაპური გაუჩნდა და გაიმართა წელში.

გავიდა მეორე წელიწადი. გამოართვა ვაჟარს ვაჟმა ორი შაური და გავიდა ქალაქში. იფიქრა, ვიციდი რასმე, დედას წავეულებ და გავახარებო.

ბაზარში ბიჭებს პატარა გოშია დაჰყავდათ გასაყიდად. ვაჟს მოეწონა გოშია. ორი შაური დაუფასეს. მისცა ვაჟმა, წამოიყვანა გოშია და ერთ რცხილასთან მივიდა. იქვე ცივი წყაროც გადმოჩუხჩუხებდა, დაჯდა ვაჟი, საგზალი ამოიღო, თვითონაც ჰკამა, გოშიასაც აქამა, ადგა მერე და წავიდა. მაგრამ გოშია აღარ გაჰყვა; ებღოტება რცხილაზე, წკმუტუნებს, ჰყუფს და არის ერთ ამბავში. ეძახის ვაჟი:—წამოდიო! მაგრამ ტყუილად. ბოლოს ვაჟმა თქვა:—იქნება ხეზე ან ხორცი იღოს, ან სხვა რამ საქმელი, ჩამოვუღებ და შევაქმევო.

ავიდა ზედ და ერთი ფულურო ნახა, შიგ ერთი თასი ღვას. ვაჟმა გამოიღო თასი, ჩავიდა წყალზე დალია და დადგა. აივსო თასი ვერცხლით. დალია კიდევ და—კიდევ აივსო. ვაჟმა თასი უბეში ჩაიღო და წაშოვიდა. იქვე შორიახლო ხელმწიფის სასახლე იდგა. ხელმწიფის ქალს ფანჯრიდან ეცქირა ვაჟისათვის და თასის შეძენა მოიწადინა. მოახლე გაუგზავნა და შეუთვალა:

— თუ გაჰყიდი მაგ თასს, რას გამომართმევო?

— თასს არ გაყვიდი, რადგანაც ვერცხლიც იმას მოაქვს და ოქროც, საჩუქრად კი დაუთმობო. მოახლემაც ასე მოახსენა ხელმწიფის ქალს.

ხელმწიფის ქალმა მოახლეს დააბარა. — წადი და ვაჟს უთხარი: ფანჯრამდე როგორმე შემოგპარე ყარაულებს, მე სარტყელს ჩამოგაწვდი, იმას მოეჭიდე და ისე ამოდიო.

როცა დაღამდა, ვაჟი შეიპარა ფეხაკრეფით სასახლეში. ჩამოუშვეს ფანჯრიდან სარტყელი და აიყვანეს ვაჟი. ხელმწიფემ ეს ამბავი რომ გაიგო, ძალიან განრისხდა. მაშინვე ბრძანა:—თავისი ქალიც და ის ვაჟიც გაეყვანათ და დაეხოცათ მინდორზე.

წაიყვანეს ქალი და ვაჟი. გოშია მისდევს, წამუტუნებს, ეღობება ქალს და არ უშვებს.

— რა გინდა, გოშია, რაღა შენი გული გვაქვს, მოსაკლავად მიყვებართო. გოშია მენა ამოიღვა:

— წადი, მამაშენს შესტირე: ნებიერობას დაჩვეული ვარ, დედაჩემის ძველი ხალიჩა, რომ გაქვს, ვგ მოგვეცი, სანამ დაგვბოცავენ, მაგაზე დავსხდები-თქო. ქალმა მამას გამოსთხოვა ხალიჩა. ხალიჩა კი ისეთი იყო, კაცი რომ ზედ დამჯდარიყო და ეთქვა: აქა და აქ წამიყვანეო, აფრინდებოდა და წაიყვანდა. ხელმწიფის კაცები რას იფიქრებდნენ! გაუშალეს

ხალიჩა და დასხეს ერთად...

— აბა, ხალიჩავ გასწი დედაჩემთან!— უთხრა ვაჟმა ხალიჩას. აიწია ხალიჩამ და—ჭერი! დარჩნენ ხახამშრალეები ხელმწიფის კაცები.

მიფრინდა ხალიჩა ვაჟის ქალაქში და ჩაეშვა სასახლის წინ. ხალხმა ვაჟის მოსვლა შეიტყო თუ არა, შეიყვანეს დედასთან. გადაპკოცნეს ერთმანეთი და დღესაც ტკბილად ცხოვრობენ.

ქირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა!

ნახატები ლ. ხახუშავილისა



9094


ბინია

ა. პარპოპანაძე

— შეხედე, ერთი შეხედე,—
დამ ძმას ანიშნა სიცილით,
—როგორ გამოძვრა კვერცხიდან
პაწაწკინტელა წიწილი.—

მისჩერებოდნენ წიწილას
გაოცებული და-ძმა,
უკვირდათ, კვერცხში წიწილა
როგორ, ან როდის ჩაძვრა!

თარგმნა ფილიპე ბერიძემ



აქაქი ბუნაძე

ღაპკაჟუ ღაპაჟ ყვავილას

ტყეში ციყვი თამაშობს,
ჩიტუნები მღერიან,
მინდვრად მოჩანს ყაყაჩო,
სხვა ყვავილიც ბევრია:
აღაჟ წითელი, აღაჟ ყვითელი,
აღაჟ აღისფერია.

მე და ჩემი ღაიკო,
ახტაჯანა მაიკო
პეპლის კაბებს ჩაფიცვამთ
სიცილით და კისკისით,
ყვავილების საკრეფად
შევეუყვებით მთის ბილიკს.


სახლის კარს რომ შევადგებთ,
თვალს ღიმილი შეგვიძვობს,
თავი უღლებს მივართმევთ
ბებეკოს და დედეკოს.

ნახატები ი.რ. პარლიშვილისა

ჭანჭიკელას მუზეუმი



ამ უჯრედებში ჩასვით ძველი ქართული საოჯახო ნივთების სახელწოდება.



ყურცქვიტას მასეირნება

თინათინ ჯაპახიშვილი

ნახატი ელ. ამბოქაძისა

— ყურცქვიტა, გინდა წყალზე გასეირნება? — შესთავაზეს იხვებმა კურდღელს.

— დიდი სიამოვნებით! მაგრამ მე ხომ ცურვა არ ვციცი! — მორცხვად მიუგო ყურცქვიტამ.

— არაფერია, მოვახერხებთ!

ორი იხვი ერთიმეორეს მიეკრა, იხვების ზურგზე ყურცქვიტა შეესკუა და ერთად გაცურეს.

ყურცქვიტას ძალიან ეშინოდა წყლისა, მაგრამ იხვებმა გაამხნევეს:

— ნუ გეშინია, უოჩაღად იყავი, მხოლოდ წყალში არ ჩაიხედა!


ყურცქვიტა ცნობისმოყვარეობამ დასძლია, წყალზე გადაიხარა, თვალეები აუჭრელდა და კინაღამ არ ჩავარდა!

— ვაიმე! — შეშკივლა ყურცქვიტამ.

იხვებმა გაიგონეს კურდღლის შეძახილი, ერთიმეორეს უფრო მაგრად მიეკვრნენ და ყურცქვიტას დაუყვირეს:

— გულეები კი დაგვიხეთქე და, რომ დამხრჩვალყავი, მერე?


გაუგონარს მულამ ხიფათი მოვლის!



ბ. 14/253



ИНДЕКС
76055



მსაჯეა
დაიგვიანა

ნახატი ელ. აგგოპაძისა
თემა ქ. გოგიაშვილისა



მსაჯი
გამორჩდა

რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, ხარედაქციო კოლეგია: მ. გეგეძეძი, ქ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მამკ. მამკლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხაღაძე (სამხატვრო რედაქტორი), რ. შიშიშვილი.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის წარჩ პიონერთა ორგანიზაციის რეგულაციური საბჭოს ფურნალი

ცალაუ: „შთამხველელები“ — ნახატი რამაზ ცუცშირისაზე შეკეთე გოგია რინინიშვილისა ტაქტიკატორი გ. რინინიშვილი

გამოცემის ოცდამეოთხეტიმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამოცემლობა „ინტადალი“, გომი. შვე. № 408, სტამბის შვე. № 1237, ტრაქტი 30000, ხელმოწერილია დასაბუქად 18/VII-1963 წ.

ფურნალი დაბეჭდილია პოლიგრაფიულ კომპანია ჯომნასტვა, ლენინი ქ. № 14 „ДИТА“-ის ფურნალითა, თბილისი, პროი. (საგვნება № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პუბლიკის პრესი. № 91, ტელ. 5-37 38.

შპსი 20 ტბა.